

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აცხადებს ტენდერს
სააგრომობილო საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის
მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი – სააგრომობილო საწვავი

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი

რეკვიზიტები: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ქ. თბილისი,
გიორგი ჭანტურიას ქ. №12

№	დასახელება	ბანზომილება	რაოდენობა
1.	ბენზინი ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95-სა	ლიტრი	115000
2	დიზელის საწვავი 50 ppm	ლიტრი	11000

საწვავი უნდა მიეწოდოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს
ტალონური სისტემით მოთხოვნის შესაბამისად გასამართი სადგურების მეშვეობით
დაწყებული 2009 წლის თებერვლიდან 2009 წლის ბოლომდე.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო
წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი 2009 წლის 20
თებერვალს 13⁰⁰ სთ-მდე შემდეგ მისამართზე: *საქართველო, თბილისი, გიორგი
ჭანტურიას ქ. №12 საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სატენდერო
კომისიის აპარატი, მე-3 სართული.*

ხოლო წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება *2009 წლის 20 თებერვალს 13⁰⁰
სთ-ზე საქართველო, თბილისი, გიორგი ჭანტურიას ქ. №12 9-ე სართულზე კომისიის
თავმჯდომარის ოთახში.*

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ
დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები,
რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიულ პირთათვის:

- მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა
(ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის
წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია
(ცნობა შესაბამისი ორგანოდან).
- მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელობის მიმართ არ უნდა იყოს
ადრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან
დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან)
- სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის
მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო
რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს.

ფიზიკურ პირთათვის:

- უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)
- მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან)
- სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

დამატებითი მოთხოვნები:

- ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან)
- ინფორმაცია უკანასკნელი 2(ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისია ახდენს ამ პირის დისკვალიფიკაციას.

დაინტერესებულმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. საიდენტიფიკაციო კოდი 203840433 ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ცენტრალიზებული ანგ.№200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174

სატენდერო დოკუმენტაცია შევსებული ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 19 თებერვლამდე, საღამოს 19 საათამდე, შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თბილისი, გიორგი ჭანტურიას ქ. №12. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ☎ 99-02-48 მზია კალანდაძე, გიორგი არტემიძე.

დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე: **საქართველო, თბილისი, გიორგი ჭანტურიას ქ. №12. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ☎ 99-02-48 მზია კალანდაძე, გიორგი არტემიძე.**

შერჩევის დროს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაში მითითებული ღირებულება შემდგომ დადასტურებას არ ექვემდებარება.

სატენდერო კომისია